საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2763 2015 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-3 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 14 დეკემბრის №5/72200 გადაწყვეტილება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სოფელ ლესიჭინეში მდებარე გარე განათების ბოძების (55 ერთეული, ობიექტის სიგრძე 1759 მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №46.00.017) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**